

მზია ბურჯანაძე
Mzia Burjanadze

**შაჰრნუშ ფარსიფურის ორი რომანი თუ
ერთი რომანი ორი სათაურით?!
Two Novels by Shahrnush Parsipur or
a Single Novel with Two Titles?!**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე სპახსუდი რომანი, ქადთა დიგეჰაგუჰა,
ფემინისტური ჰაკუხი, ოჰი სათაუჰი, იჰანუდი პაჰადოქსები.

Key words: contemporary Iranian novel, feminine literature, feminist vision, two titles,
Iranian paradoxes.

ირანი რომ პარადოქსების ქვეყანაა, საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის უცნაურად აღარ ჩანს. ამ პარადოქსებიდან ერთ-ერთი ლიტერატურას, კერძოდ კი, ირანში წიგნის ხვედრს უკავშირდება. წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, რა ბედს ეწევა მწერალი, რომელიც პოლიტიკურად და იდეოლოგიურად გაუმართლებელ წიგნს დაწერს, ან რა ხვედრი ერგება ერთი შეხედვით უმანკო და ისლამური დოქტრინისთვის უვნებელ თხზულებას.

ვიცით შემთხვევები, როდესაც ისლამური იდეოლოგიისთვის სრულიად მიუღებელი ემიგრანტი მწერლის უცხოეთში გამოცემული წიგნი, რომლის მთარგმნელის გვარიც კი, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ინგლისური თარგმანის ყდაზე არაა მითითებული, ირანის მალაზიებში ოფიციალურად იყიდება.¹

ხშირად იდეოლოგიისგან სრულიად დაცლილი, ირანში გატარებული მონატრებული ბავშვობის ლირიზმით აღბეჭდილი ემიგრანტული თხზულება წლობით ელოდება ნებართვას ცენზურის თაროებზე, „კეთილი“ ცენზორის ან დროებითი „დათბობის“ მოლოდინში.²

ხდება ისეც, რომ ირანული რომანის თარგმანები უცხოეთში სხვადასხვა ენაზე ზედიზედ იბეჭდება და პოპულარობას იმკის, სამშობლოში კი წიგნი ირანელი ცენზორების მიერ შერისხული, აკრძალული და ტაბუირებულია. მაგრამ უფრო უცნაური ისაა, რომ სამშობლო არ იმჩნევს აკრძალული წიგნის არსებობას და მის ავტორს, ადრე დაწერილი ნაწარმოებების გათვალისწინებით, არც ავტორიტეტი აკლდება და არც წონა.³

ამგვარი აუხსნელი მოვლენების ფონზე არც ის უნდა ჩანდეს უცნაურად, რომ შაჰრნუმ ფარსიფურის რომანს, რომელსაც ავტორმა „ხის სულის უბრალო და პატარა ამბები“ უწოდა, მეორე სათაური, „კაცები ქალების პირისპირ“, და ერთგვარი მეორე სიცოცხლეც აღმოაჩნდა.

ვინ არის შაჰრნუმ ფარსიფური?

ფარსიფურმა თეირანის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში შეისწავლა ჩინური ენა, კულტურა და ფილოსოფია. ის ერთხელ ისლამურ რევოლუციამდე მოხვდა ირანულ ციხეში, ისლამური რევოლუციის შემდეგ კი – ორჯერ. ბოლო პატიმრობა მისი წიგნის გამოცემას მოჰყვა, სათაურით „ქალები კაცების გარეშე“. ამ პატიმრობის შემდეგ საბოლოოდ დასახლდა საზღვარგარეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა და მრავალი რომანისა და მოთხრობების კრებულის ავტორია. აი, რას ამბობს მწერალი წიგნის „ხის სულის უბრალო და პატარა ამბები“ წინასიტყვაობაში: „წიგნი 1978⁴ წელს დაიწერა... მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოცემულა, რადგან უეცრად ყველაფერი შეიცვალა და მოვლენებმა რელიგიური შეფერილობა მიიღო. მერე კი ისე მოხდა, რომ სრულიად უმიზეზოდ

¹ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ავსტრალიაში მცხოვრები შექუფე აზარის რომანი „მწვანე ალუწის ხის ემანაცია“ და მისი ინგლისური თარგმანი, რომელიც აზიური ბუკერის პრემიის ნომინანტი გახდა.

² ასეთი ხვედრი არაერთხელ რგებია გოლი თარაყის ნაწარმოებებს.

³ ეს ბედი ერგო მაჰმუდ დოულათაბადის და მის ანტიისლამურ რომანს „პოლკოვნიკის მიმწუხრი“, რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნა (მათ შორის, ქართულად) და არაერთი ჯილდოც დაიმსახურა.

⁴ 1978 წელი – ირანის ისლამური რევოლუციის წინა წელი.

დამიჭირეს და ხანგრძლივი დრო ციხეში გავატარე. ამის გამოა, რომ რომანი ოცი წლის დაგვიანებით უცხოეთში დაიბეჭდა... ეს წიგნი ირანში გამოიცა ყალბი სათაურით – „კაცები ქალების პირისპირ“. ირანულ გამოცემაში ადგილები ამოღებულია, ადგილები – შეცვლილი და, შედეგად, წიგნი მთლიანად განადგურებულია“ [ფარსიფური 2012: 4-5].

ამ უცნაური და, გარკვეულწილად, სკანდალური ბედის მქონე რომანი ჩემი დაინტერესება სწორედ მისმა მეორე, ავტორის თქმით, ყალბმა სათაურმა გამოიწვია.

როგორც აღვნიშნე, ირანში მწერლის მესამე პატიმრობა და შემდეგ უკვე იძულებითი ემიგრაცია მისი რომანის „ქალები კაცების გარეშე“ გამოქვეყნებას მოჰყვა. საინტერესოდ მეჩვენა სხვა რომანის არსებობა დამაინტრიგებელი სათაურით „კაცები ქალების პირისპირ“, რომელიც, ფაქტობრივად, პირველ რომანთან გაპაექრების მცდელობა უნდა ყოფილიყო. თუმცა ირანის წიგნის მაღაზიებში რომანი თავისუფლად იყიდებოდა, თხზულებების თავად მწერლის მიერ შედგენილ ნუსხაში ასეთი სათაურის რომანი არ არსებობდა. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

შაჰრნუშ ფარსიფური არ ასახელებს იმ გამომცემლის ვინაობას, რომელმაც ირანში წიგნი მწერლის ემიგრაციის შემდეგ გამოსცა. აღნიშნავს კი, რომ რედაქტორ-გამომცემელმა, თვითნებური გადაწყვეტილებით, გარდა სათაურისა, ცენზურის საამებლად ბევრი ეპიზოდი შეცვალა ან ამოიღო, რითაც ტექსტს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ავტორმა, რომელმაც ეს ყველაფერი მხოლოდ წიგნის გამოცემის შემდეგ შეიტყო, თავისი უფლებების დაცვა ვერ მოახერხა, რადგან გამომცემელი გარდაიცვალა და ვერც თავად მწერალმა მოახერხა ირანში ჩასვლა. ერთადერთი, რითაც შეძლო ამ გაუგონარ საქციელზე ეპასუხა, წიგნის პირვანდელი – ავთენტური – სათაურით უცხოეთში გამოცემა იყო.

ასე გაჩნდა ორი რომანი და ორი სათაური. ერთი – ირანული ცენზურისთვის, დამაინტრიგებელი სათაურით: „კაცები ქალების პირისპირ“ და მეორე – მწერლისეული ვერსია მკითხველისთვის – სათაურით: „ხის სულის უბრალო და პატარა ამბები“.

ინკოგნიტოდ დარჩენილი გამომცემლისა თუ რედაქტორის სურვილი, გამოეცა ფარსიფურის რომანი, გასაგებია. ასევე გასაგებია, რატომ შეუჩია სხვა სახელწოდება. საქმე ისაა, რომ ფარსიფურის ყველაზე გახმაურებული და ყველაზე ფემინისტური რომანი „ქალები კაცების გარეშე“ ირანულმა ცენზურამ ანტიისლამურ რომანად შერაცხა, მისი გამოცემა და გაყიდვა აკრძალა, ავტორი დააპატიმრა, შემდეგ კი იძულებული გახდა, უცხოეთში ექებნა თავშესაფარი.

თუმცა უშუალოდ ისლამის საწინააღმდეგო რომანში არაფერია ნათქვამი, მაგრამ მისი შეუფარავი ფემინისტური სულისკვეთება – ქალის უფლებებისთვის ბრძოლა, მის მიერ საკუთარი იდენტობის დამკვიდრების მცდელობა და ამასთან დაკავშირებული ძიებები გახლავთ წიგნის თემები და ბუნებრივია, რომ ისლამურმა რეჟიმმა ის მიუღებლად მიიჩნია. მით უფრო, რომ წიგნში წამოწეულია ქალის სექსუალობის თემაც. როგორც ჩანს, სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით იქცა „ქალები კაცების გარეშე“ სკანდალურ და სასურველ საგნად გამომცემლისთვის, რომელმაც გადაწყვიტა, დასაბეჭდად

მომზადებული რომანის ამ წიგნთან ასოციაციური კავშირით მოეთბო ხელი. ამისთვის კი უკვე სათაურში უნდა ჩაედო ინტრიგა, რითაც რომანს პოპულარობისკენ გაუკვალავდა გზას.

საქმის ზნეობრივ მხარეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უცნაურია, რომ თვალთახედვის არიდან „გამორჩა“ ავტორი. ან იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ის ირანში კიდევ დიდხანს ვერ დაბრუნდებოდა?! არც შემცდარა. შაჰრნუშ ფარსიფური ირანში, სურვილის მიუხედავად, ჯერჯერობით არ დაბრუნებულა.

ამ წიგნის თავგადასავალი იმდენად დაუჯერებელი ჩანდა, ისიც ვიფიქრე, იქნებ ავტორი ამბავს აზვიადებდა და მთლად ასეც არ იყო საქმე.

რომანის ორიგინალური ვერსია, „ხის სულის უბრალო და პატარა ამბები“, რომლის მოპოვება საკმაოდ რთული აღმოჩნდა,¹ ლაღად დანერილი რომანია, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ირანული პატრიარქალური სული და თანამედროვე ცხოვრების ეპიზოდები; სადაც მძლავრად იგრძნობა ფემინისტური ნაკადიც, შემოდის სექსუალობისა და სექსუალური ორიენტაციის თემაც. ამ თემებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ირანში გამოცემულ წიგნში, სათაურით „კაცები ქალების პირისპირ“, გაუხსნელი და ბუნდოვანიც მომეჩვენა, მაგრამ არ გამკვირვებია. ირანული ცენზურის პირობებში ასეთი რამ სრულიად ბუნებრივ მოვლენად მივიჩნიე. სპარსული ლიტერატურის მკითხველი სტრიქონებს შორის კითხვისთვის მუდამ მზად უნდა იყოს და არის კიდევც.

რომანის ავთენტური, შვედეთში გამოცემული, ვერსიის გაცნობამ ავტორის სიმართლეში დამარწმუნა. კერძოდ, რომ თვითნებურმა ცვლილებებმა სრულიად შეცვალა და გაანადგურა წიგნი, რადგან ყველა ის ბუნდოვანება თუ გაუგებრობა, რაც დამახინჯებული ირანული გამოცემის ნაკითხვისას ჩნდება მკითხველში, იხსნება და გასაგები ხდება რომანის ორიგინალური ვერსიის გაცნობისას. თითქოს ფაზლის დაკარგული ნაწილები პოულობენ თავიანთ ადგილებს, ისე მთლიანდება მწერლის სათქმელი.

შაჰრნუშ ფარსიფურის რომანებში, როგორც წესი, ნარატივს მესამე პირის მთხრობელი წარმართავს. ეს რომანი კი მწერლის შემოქმედებაში ერთადერთია, რომელშიც მთხრობლად მამაკაცი გვევლინება. ვფიქრობ, ამის გამო დაარქვა ირანელმა გამომცემელმა მას „კაცები ქალების პირისპირ“, რითაც მიზანმიმართული ასოციაცია შექმნა რომანთან „ქალები კაცების გარეშე“.

ეს ორი რომანი ერთმანეთს არც თხრობის მანერით და არც პერსონაჟების ხასიათით არაფრით ჰგავს. მაგრამ არის მათ შორის გარკვეული მსგავსებაც, რაც, როგორც ჩანს, მოექცა კიდევ თვითნება რედაქტორის თვალთახედვის არეში: ორივე რომანში ჩანს სხვადასხვა სქესის პერსონაჟების დამოკიდებულება საკუთარი თუ საპირისპირო სქესის იდენტობისა და საზოგადოებრივი სტატუსისადმი. ერთ შემთხვევაში, მწერალი პერსონაჟი ქალების გამოსაკვეთად მხოლოდ ფონად იყენებს მამაკაც პერსონაჟებს, რითაც ამკვეთრებს წიგნის ფემინისტურ აქცენტებს, მეორე რომანში კი მამაკაცის თვალ-

¹ დიდი მადლობა ჩვენი კათედრის დოქტორანტს, ამჟამად ირანში საქართველოს საელჩოს თანამშრომელს, დაჩი უსტარაშვილს, რომელმაც დიდი ძალისხმევით ფასად მოიპოვა წიგნი.

თახედვით დანახულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ფონზე მკაფიოდ იკვეთება ორივე სქესის ურთიერთობა და მათი სტატუსი.

შაჰრნუშ ფარსიფურის ფემინისტური სულისკვეთების „ქალები კაცების გარეშე“ რამდენიმე ცალკე სიუჟეტური ხაზის შემცველ ნოველას აერთიანებს და საბოლოოდ ერთ რომანულ ქარგას ქმნის. პერსონაჟი ქალების ცხოვრება სხვადასხვა გზით მიდის, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებთ: ყოველი მათგანი საკუთარი ადგილისა და პიროვნების აღმოჩენისკენ მიდის და საბოლოოდ აღწევს კიდევ მიზანს. ეს მიზანი და გზა, მიზნისკენ სავალი, ყველა შემთხვევაში მისაღები და ზნეობრივი არაა, მაგრამ მწერლისთვის მთავარი ისაა, რომ ეს ქალები დამოუკიდებელ გადწყვეტილებას იღებენ, საკუთარ გზას ირჩევენ და ამ არჩევანში თავად არიან პასუხისმგებელნი.

„ხის სულის უბრალო და პატარა ამბები“, ერთი შეხედვით, ისლამური რევოლუციის წინა პერიოდის, ანუ ჯერ კიდევ შაჰის რეჟიმის ირანული ყოფის სურათებს შლის. კერძოდ, პატრიარქალური შეხედულებებისა და ახლად დამკვიდრებული მოდერნული ცხოვრების სინთეზის მცდელობას. უფრო ღრმად კი ეს რომანი მნიშვნელოვან ზნეობრივ საკითხებზე მსჯელობაა და, ამ თვალსაზრისით, ზოგადადამიანურ ფასეულობებს სწვდება.

რომანში საკმაოდ ვრცელადაა ნაჩვენები ყველა ის საზოგადოებრივი პრობლემა და შინაგანი შფოთი, რომელიც იმ დროს სუფევდა ქვეყანაში. წიგნში დასმული პრობლემები როგორც შაჰის რეჟიმის სინამდვილეს, ასევე, ნაწილობრივ, რევოლუციურ სიტუაციას აღწერს. რომანის ყალბ ვერსიაში, რომელშიც რედაქტორმა თვითნებურად და მიუღებლად შეიტანა შესწორებები, საზოგადოებრივი ვითარების ამსახველი ეპიზოდები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი, რადგან ეს ყველაფერი შაჰის დიქტატურული რეჟიმის გამოვლინებაა და თითქოს არაფერი აქვს საერთო ისლამური რევოლუციის შემდგომ ვითარებასთან.

ერთადერთი შესწორება, რაც რედაქტორს ამ კუთხით ავტორისეულ ტექსტში შეუტანია, ბელადის საკითხს ეხება. პერსონაჟები მსჯელობენ, თუ რამდენადაა შესაძლებელი საზოგადოების ბრძოლა ცხოვრების შესაცვლელად უწინამძღოლოდ. ფარსიფურის ავთენტურ ტექსტში გამოყენებული ტერმინი „ბელადი“ ჩანაცვლებულია სიტყვით „ვინმე“. ბელადის ხსენება თავისთავად გამოიწვევდა აიათოლა ხომეინის ასოციაციას, რაც ისლამური რესპუბლიკისთვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა.

რომანში ჩანს ის უმძიმესი ატმოსფერო, რომელიც სუფევდა შაჰის ირანში და რომელიც კიდევ მეტად დამძიმდა ისლამური რევოლუციის შემდეგ.

რომანის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, ჰოსეინი, პოლიტიკური შეხედულებებისა და აქტიურობის გამო ციხეში კარგა ხანს იჯდა. ციხის წამებამ თუმცა ვერ გატეხა, მაგრამ შიშის გრძნობა კი ჩაუწერა: „ხანდახან შიმისგან სუნთქვა მეკვროდა. ამიტომაცაა, ქუჩაში რომ მივიდივარ, სულ უკან-უკან ვიხედები“ [ფარსიფური 2005: 124].

„იმ მესამე თვალის შიშით, რომელსაც უკვე მატერიალური სახე მიუღია და ადამიანის არსებაში მკვიდრად გამჯდარა,... (კაცს) საკუთარ ოთახშიც კი ველარ მოუფხანია მშვიდად თავი“ [ფარსიფური 2005: 100].

ერთ-ერთი მეგობარი, ესფანდიარი, რომელიც თეირანის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, საცხოვრებლად და სამუშაოდ ამერიკაში წასვლას

აპირებს, რადგან ირანში სტუდენტებს თავისუფლად ვერ ესაუბრება: „სერიოზული განხილვის დროს სამეცნიერო საუბრის მოკვეცა ახლო ნათესავთან თანაცხოვრებას ჰგავს, ამის ჩადენას ხომ სიკვდილი გიჯობს“ [ფარსიფური 2005: 114].

მთხრობელი კი ასეთ კომენტარს ურთავს: „ესფანდიარი კარგა ხანია, ამას სჩადიოდა და იძულებული იყო, საკუთარი თავისთვის ყოველდღიურად ეფურთხებინა“ [ფარსიფური, 2005:114].

ადამიანების დათრგუნვისთვის და მორჩილ ქვეშევრდომებად ქცევისთვის დამკვიდრებულ გზად ჩანს ე.წ. აღიარებითი ჩვენება, რომლის შემდეგაც ღირსებაშელახული კაცის ცხოვრებას ფასი ეკარგება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ორ მეგობარს შორის საუბარი, რომელიც არა მხოლოდ პოლიტიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ ადამიანების ზნეობრივ იდეალებსაც ააშკარავებს: „თუ ცოლ-შვილი და მშვიდი ცხოვრება გინდა, ძნელი მისაღწევი არ არის. ერთი „შეცდომის აღიარება“ დანერე და საუკეთესო სამსახური გექნება... ყველამ ასე გააკეთა“. ჰოსეინი კი პასუხობს: „არაფერი აღარ მექნება... ეს რომ გავაკეთო, იმას ნიშნავს, რომ სახლს, ცოლს და შვილს უნდა ვუღალატო. ესე იგი, არ შემიძლია, ისინი ვიყოლიო“ [ფარსიფური 2005: 209].

ამ საუბარში ყურადღებას იპყრობს აჰმადის მოკლე ფრაზა, რომელიც თითქოსდა სხვათაშორის მიება ძირითად სათქმელს, არადა, სწორედ ისაა მწერლის მთავარი აზრი: „ყველამ ასე გააკეთა“.

დიახ, ასე, როგორც ჩანს, ბევრი იქცეოდა. ბევრი იყო იძულებული, ასე მოქცეულიყო. გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ. არავისთვის უცხო არ არის, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, როგორიც საბჭოთა კავშირიც გახლდათ, ამგვარი გზა სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების მორჩილ მანქურთებად გადასაქცევად მიღებული და დამკვიდრებული იყო. ირანშიც ბევრი შემთხვევა ვიცი, როდესაც ქვეყნის საუკეთესო შვილებსაც მოუხდათ ასეთ ზნეობრივ კომპრომისზე წასვლა, რის შემდეგაც ფიზიკურად კი გადარჩნენ, მაგრამ მორალურად განადგურდნენ. ბევრი ქვეყნიდან წავიდა, თუმცა ვერც იქ ჰპოვა სულიერი სიმშვიდე; ზოგი დაავადდა და მოკვდა კიდევ.¹

ფარსიფურის რომანში იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ხშირად პოლიტიკურად „არასაიმედო“ ადამიანებს საფლავებიც არ გააჩნიათ. როგორც ჩანს, ეს არ არის მხოლოდ ისლამური რევოლუციის მიგნება. შაჰის რეჟიმის დროსაც იმავე მეთოდებით უსწორდებოდნენ განსხვავებული აზრის მქონეებს. „ბევრს საუბრობდნენ ყუმის მლაშე ტბაზე, რომელიც, თითქოსდა, უჭირისუფლო და უსახელო მიცვალებულების სამარედ იქცა“ [ფარსიფური 2012: 127].

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების საკმაოდ ტრაგიკული მხარეების ჩვენების გარდა, რომანი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში მრავლადაა

¹ ასე მოხდა გამოჩეული ირანელი მწერლის ყოლამჰოსეინ საედის შემთხვევაში, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ევინის ციხის სისასტიკე და ასეთ კომპრომისზე წასვლა მოუხდა. შემდეგ ემიგრაციაში დასახლდა, პარიზში გაატარა ცხოვრების უკანასკნელი წლები და, სამშობლოზე და, როგორც ჩანს, საკუთარ კომპრომისზე დარდის გამო ალკოჰოლს შეეფარა. მძიმედ დაავადებული, 50 წლის ასაკში იქვე გარდაიცვალა. საედი პერლაშეზის სასაფლაოზე, სადღე პედაიათის სიახლოვეს, დაკრძალეს.

ირანული ცხოვრების თანდათანობითი მოდერნიზაციის სურათები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მოჰამად-ზადეს სახე არა მარტო გარეგნული, არამედ შინაგანი მახასიათებლების მიხედვით. ეს არის სტანდარტული ნიმუში სახელმწიფო მუშაკისა, რომელსაც პროგრესმა ცხოვრების შუა გზაზე მოუხსნო, რომელიც გაუცნობიერებლად ცდილობს, სიახლეს ფეხი აუწყოს, მაგრამ ვერც ძველ ცხოვრებასთან გაუწყვეტია კავშირი.

„ასეულოში“ [ფარსიფური 2005: 8-9]. მგონია, რომ ათი წელიც იქნება, რაც მოჰამად-ზადეს ოჯახი მეშუედში გამგზავრებასა და ზღვაზე დასვენებას შორის ყრის კენჭს, რომელიც, როგორც წესი, ზღვის სასარგებლოდ წყდება ხოლმე. ეს თანდათანობითი ევოლუცია სახლის მონყობილობის შეუსაბამობაშიც იგრძნობა: ძვირფასი ქაშანური ხალიჩა... და უცბად: თერმომდევი პლასტიკატი დაფარული სასადილო მაგიდა; ქათუზიანის მიერ შესრულებული ჰაფეზის პორტრეტი შესასვლელში, მონალიზა აბაზანაში და პიკასო – სამზარე

მიუხედავად იმისა, რომ რომანში ბევრი საკითხია საინტერესო, დღეს ჩემი ყურადღების საგანი ერთი კონკრეტული თემაა. კერძოდ, საკითხი, რომლის გამოც, სავარაუდოდ, გამყალბებელმა გამომცემელმა სათაური შეცვალა. ეს გახლავთ ქალისა და მამაკაცის თვალთ დანახული საკუთარი და საპირისპირო სქესის იდენტობა.

რომანში, რომელშიც მთხრობელიც და მთავარი მოქმედი პირებიც მამაკაცები არიან, ქალი ავტორი ცდილობს, ობიექტურად და დამაჯერებლად დახატოს პერსონაჟების ფსიქოლოგია, არც გალანძლოს ისინი და არც შეაქოს. ვფიქრობ, ამის მოხერხება ძალიან ძნელი იყო. იქნებ შეუძლებელიც. და ვერ ვიტყვოდი, რომ ფარსიფურმა ჩანაფიქრი წარმატებით განახორციელა. რომანის კითხვისას ხშირად იგრძნობა, რომ ეს უფრო ქალის დამოკიდებულებაა მოვლენების მიმართ, ვიდრე კაცისა. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ მწერალმა რეალურად არსებული ვითარების მეტნაკლებად ობიექტური სურათების ჩვენება შეძლო, მკითხველისთვის მნიშვნელოვანია.

საერთო ბავშვობიდან მომავალი რამდენიმე მამაკაცის ცხოვრება სხვადასხვაგვარად ვითარდება და მოვლენებისადმი, მათ შორის, ქალის სტატუსისა და ადგილისადმი დამოკიდებულებაც ერთმანეთისგან განსხვავებული აქვთ. ესაა საკითხი, რომელიც ფემინისტი ფარსიფურის ყველა თხზულებაში აუცილებლად დგება ხოლმე, მაგრამ ამ რომანში მამაკაცები გამოხატავენ საკუთარ აზრებს.

რეალურად, რომანში აღწერილი ამბები ფაჰლავების დინასტიის უკანასკნელ გაელვებას, წინაისლამურ წლებს ასახავს. ესაა ქვეყნის ცხოვრებაში დასავლური ცივილიზაციის გავლენით მოტანილი არაერთი რეფორმისა და ცვლილების პერიოდი, როცა „ქალების დრო დადგა, ძალიან გააქტიურდნენ, ვეჟილები და მინისტრები გახდნენ“ [ფარსიფური 2005: 87].

აჰმადი, რომანის მთხრობელი, „თანამედროვედ მოაზროვნე“ კაცია. ჰყავს საყვარელიც და ამაში ვერც თავისთვის და, რაც მთავარია, ვერც თავისი საყვარლისთვის სათაკილოს ვერაფერს ხედავს. თუმცა წუთითაც კი ვერ უშვებს იმ აზრს, რომ ქალი, შესაძლოა, ცოლად შეირთოს. მის მიმართ ყოველგვარი უტაქტობა ნებადართულია, თუმცა თავად აჰმადი თავის ქმედებას შეურაცხყოფლად სულ არ აღიქვამს.

შამსის ყოფნა მის ცხოვრებაში ისეთივე ბუნებრივი და შეუმჩნეველია, როგორც ნებისმიერი ნაკეთის არსებობა, რომელიც, უბრალოდ, არის. უიმი-სოდ ვერ იცხოვრებ, მაგრამ მის ყოფნას ვერ გრძნობ. როდესაც ახალგაზრდა გოგონა, ჩიჩინი, რომელიც ჩვენს მთხრობელს ძალიან მოსწონს, ეკითხება, ჩემ გარდა ვინმე თუ გყავსო, სრულიად გულწრფელად პასუხობს, არაო. და თვითონვე იძლევა კომენტარს, რომელსაც, ვფიქრობ, თანამედროვე, თითქოსდა არცთუ მთლად პატრიარქალური ქვეყნის ალბრდილი ბევრი მამაკაცი მოაწერდა ხელს და თავის ნათქვამში ქალისთვის შეურაცხყოფელს გულწრფელად ვერაფერს დაინახავდა: „უყოყმანოდ ვუპასუხე, არა-მეთქი. ჩემი და შამსის ურთიერთობა შეყვარებულების ურთიერთობას სცდება. შამსი ჩემი ცხოვრების ნაწილია. ისევე, როგორც ნეკა თითი, რომელიც მუდამ არის და რომელზეც არ ვფიქრობ. შამსი, ფაქტობრივად, ჩემი სისხლის ნაწილია, ძარღვებში მყავს. მის არსებობას აღიარება არ სჭირდება, მისი არსებობა მუდმივია“ [ფარსიფური 2005: 78].

აჰმადის, და არამარტო მისი, ცნობიერებისთვის ქალი მეორეხარისხოვან არსებად ჩანს, თუმცა ამას არ აღიარებს. აჰმადს შამსის შინაგანი სამყარო და სურვილები არ აინტერესებს. ქალის არჩევანის არეალი შეზღუდულია. დარწმუნებულია, რომ თავად, როგორც მამაკაცმა, უკეთ იცის, რას უნდა ელოდოს ქალი ცხოვრებისგან და რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს. მისი სტატუსი და მოქმედების სფერო უკვე დიდი ხანია, განსაზღვრულია. ჩიჩინიზე შეყვარებული აჰმადი ანგარიშმიუცემლად ცდილობს, როგორმე შამსი თავიდან მოიშოროს. ოღონდ ისე, რომ კარგ კაცადაც დარჩეს და ვერც შამსი მიხვდეს ვერაფერს. გამოსავლის სახით სრულიად უზნეო წინადადებას სთავაზობს: შამსიმ ჰოსეინთან, აჰმადის ბავშვობის მეგობართან, უნდა დაამყაროს სექსუალური ურთიერთობა, რათა იქნებ ჰოსეინი „მორცხვობის კომპლექსისგან“ განკურნოს. აჰმადს აზრადაც არ მოსდის, რომ ქალს შეურაცხყოფს, რადგან მასში ბუნებრივადაა გამჯდარი ქალზე კაცის დომინანტობის რწმენა. ორშვილიან, ქმარგაცილებულ ქალს რა არჩევანი შეიძლება ჰქონდეს? ის ასეთი წინადადებით კმაყოფილიც კი უნდა იყოს, რადგან ქალს უნდა სიამოვნებდეს ნებისმიერი მამაკაცის ყურადღება.

თუმცა აჰმადი, თავისი თანაკლასელისგან განსხვავებით, რომელიც კატეგორიულად აღნიშნავს, რომ განათლებამ ქალები გააფუჭა, ასე არ ფიქრობს, მაგრამ იმაში კი დარწმუნებულია, რომ ქალს მოკრძალებულობა მოეთხოვება. ლალ და თავისუფლად მოაზროვნე შეყვარებულს, ახალგაზრდა ჩიჩინის, უხსნის, როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოებაში: „ვიფიქრე... ქალის რეალურ სტატუსზე ვესაუბრო საზოგადოებაში... რომ ცოტა დაშინდეს და ასე დაუფიქრებლად არ გადაეშვას ხოლმე მოვლენების შუაგულში“ [ფარსიფური 2005: 63].

ქალების მხრიდან სერიოზულ საკითხებზე მსჯელობა და საკუთარი აზრის გამოთქმა მხოლოდ ღიმილს შეიძლება იწვევდეს. როდესაც ჩიჩინი მნიშვნელოვან მოვლენებზე საუბრობს, აჰმადი სიყვარულით, მაგრამ ქედმაღლურად პატარა ფილოსოფოსად მოიხსენიებს, რადგან ქალისგან „საკაცო“ საკითხების განხილვა სასაცილოა. ამიტომ გაცხებული რჩევა, როდესაც თანამოსაუბრე აღშფოთებით პასუხობს: „რატომ არ უნდა მქონდეს უფლება, სერიოზულად ვიმსჯელო? რადგან ქალი ვარ? შენზე პატარა თავი მაქვს?..

შენც სხვა ირანელ კაცებს ჰგავხარ. არ გინდა დაინახო, რომ ქალსაც შეუძლია აზროვნება. ეს შენს ბუნებაშია..." [ფარსიფური 2005: 227-228].

რა თქმა უნდა, ეს სიტყვები თავად მწერლის სათქმელია, რომელიც ასეთი დამოკიდებულების გამო ჯერ შაჰის ხელისუფლების მიერ, მერე კი ისლამური რეჟიმის ხელით იდევნებოდა. ის ხომ უკმაყოფილებას არა მხოლოდ ქალის შელახული უფლებების გამო გამოთქვამს, არამედ კაცის ხელშეუვალი სტატუსისა და მისი დაავადებული ცნობიერების წინააღმდეგაც; მთელი ირანული ადათებისა და პატრიარქალური მიმართებების გამო.

უნდა ითქვას, რომ რომანში დამაჯერებლადაა ნაჩვენები იმხანად ირანში არსებული სიტუაცია, საზოგადოებაში გენდერული როლების განაწილება და მათ შორის ურთიერთმიმართებები. მიუხედავად მოლოდინისა, რომ „ხის სულის უბრალო და პატარა ამბები“ მასკულიზური რომანი უნდა იყოს, რადგან მასში მთავარი პერსონაჟი და მთხრობელი კაცია, ფარსიფური აქაც ქალი პერსონაჟების ხატვითაა გატაცებული და რომანის განწყობაც მკვეთრად ფემინისტურია.

პრაქტიკულად, წიგნში მხოლოდ ორი ქალი ჩანს, მაგრამ ორივე მნიშვნელოვანი პერსონაჟია და ორივე – რომანის იდეური ჩანაფიქრის განმახორციელებელი.

შამსის პერსონაჟში მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვამს ის თავის იდენტობას და როგორია ის სინამდვილეში, ისევე საზოგადოებრივი ცნობიერებიდან გამომდინარე.

შამსი რეალურად დამოუკიდებელი ქალია და თავს ასეთადაც მიიჩნევს. თავად არჩენს შვილებს, რადგან იცის, გაყრილი ქმრის უფერული დახმარების იმედი ვერ ექნება. მისი მიმართება ზოგადად მამაკაცებისადმიც საკმაოდ ორჭოფულია, მათზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა არ არის და იცის, მეორედაც რომ გათხოვდეს, მაინც მხოლოდ თავის იმედზე მოუწევს ყოფნა. და, ყველაფერ ამის მიუხედავად, მაინც ემორჩილება ყველა წესსა და პირობითობას, რომელიც პატრიარქალურ სინამდვილეში საზოგადოების, კერძოდ კი, ამ საზოგადოების წამყვანი ნაწილის, მამაკაცების, მიერაა დამკვიდრებული.

ჩიჩინის პერსონაჟი შამსისგან ძალიან განსხვავდება. ის ბევრად უფრო ახალგაზრდაა და პატრიარქალური ზღუდეებისგან თავის დაღწევა, სილალე და თავისუფლება არა მარტო მისი აზროვნების წესისთვის, არამედ საქციელისთვისაც ბუნებრივია. ეს გოგონა არა დეკლარაციულად, არამედ უკვე ბუნებრივად, შინაგანი რწმენის შესაბამისად მიიჩნევს ქალს კაცის თანასწორად და ეს სილალე მის ნებისმიერ საქციელსა და სიტყვაში დაუფარავად ვლინდება.

ჩიჩინი სწორედ ის პერსონაჟია, რომელსაც მკითხველამდე ფემინისტი მწერლის სათქმელი მოაქვს: რომ ქალი არათუ მამაკაცის თანასწორია, არამედ სწორედ ის არის საზოგადოების ზნეობრივი საყრდენი და ხშირად მამაკაცზე უკეთ ახერხებს „ვაჟკაცური“ და მამაცური გადაწყვეტილებების მიღებას.

ფარსიფურის მიერ სხვა ნაწარმოებებშიც ხშირად ნახსენები საკითხი სიქალწულისა, ე.წ. უმანკოებისა, როგორც ჩანს, არცთუ ისე თითქმის გამოწვევილი თემა იყო ამ პერიოდის ირანში და მწერალიც მას შემთხვევით ან მკითხველის დასაინტრიგებლად არ ეხება. ამ რომანში კი ეს ტაბუდადებული

პრობლემა ქალის პიროვნული ღირსებისა და ინდივიდუალური თვითმყოფადობის გამოვლინებასთანაა დაკავშირებული და მოულოდნელ ასპექტშია განხილული. აქ, ერთი მხრივ, საინტერესოა კაცის მიმართება ქალის სტატუსისადმი. კაცისთვის ნებისმიერი ქალის ქცევა სტერეოტიპულია და, თუკი ის „დასაშვებზე მეტ“ თავისუფლებას ავლენს საუბარსა და ქცევაში, ესე იგი, უპირობოდ მსუბუქი ყოფაქცევისაა. ამიტომ აჰმადი დაუფიქრებლად ამყარებს მასთან სექსუალურ ურთიერთობას. ჩიჩინის მიმართება ამ საკითხისადმი კი სრულიად არასტერეოტიპული და მოულოდნელია. როდესაც აჰმადი ჭკუას არიგებს, თუ გათხოვებას აპირებს, ასე არ უნდა მოქცეულიყავიო, ჩიჩინი საკითხს ასე სვამს: ბევრი კაცი იცი, რომელიც ქორწინებამდე შეურყენელი იყო? აჰმადის გულწრფელ პასუხზე, რომ ასეთ კაცს არ იცნობს, ქალი ლოგიკურ, თუმცა კაცისთვის სრულიად გაუგებარ კითხვას უსვამს: „*მე რატომ უნდა შევიტანო ჩემი უმანკოება იმ კაცის სახლში, ვინც თვითონ არაა უმანკო*“ [ფარსიფური 2012: 58]?

ჩიჩინისთვის უმანკოების დაკარგვა გაცნობიერებული აქტია – პროტესტის ფორმა, პიროვნულობის და ინდივიდუალობის გამოვლინება, რამდენადაც საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიდის. ის კარგავს მყიდველს, კარგავს სასაქონლო ფასს და საკუთარ, პიროვნულ, ღირებულებას იძენს: „*ქალი ადამიანი კი არა, ნივთია. უმანკოების მქონე ნივთი. მყიდველის მოსვლას უნდა ელოდოს, მყიდველისა, რომელიც მის უმანკოებას შეჰხარის. ამ მყიდველს უნდა მიეკედლოს. ჰოდა, თუკი მიეკედლება, აღარც გაახსენდება, რომ ოდესღაც საზოგადოებაში გარევა უნდოდა*“ [ფარსიფური 2012: 58].

აჰმადისა და ჩიჩინის დიალოგში თითქოს პატრიარქატი და თანამედროვეობა ეპაექრებიან ერთმანეთს:

– ახლა რა ექნათ? გინდა, დავექორწინდეთ?

– არა.

– აბა, რატომ დაწეი ჩემთან?

– სწორედ იმიტომ, რომ შენს ცოლობას არ ვაპირებ. კაცთან იმისთვის დანოლა, რომ ცოლად გაჰყვე, უზნეობა და ცბიერებაა“ [ფარსიფური 2012: 60].

მამაკაცი პერსონაჟებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურაა ჰოსეინი, მთხრობლის ბავშვობის მეგობარი, რომელიც იდეალებისთვის ცხოვრობს და იბრძვის. რომანის ფინალში მის დაღუპვას ერთგვარი სიმბოლოს მნიშვნელობა ენიჭება. ესაა, თითქოს, ქვეყნის ღირსების, სინდისისა და ვაჟკაცობის ჩასვენება. არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ სიკვდილს ყველა მამაკაცი პერსონაჟი მეტნაკლებად მშვიდად ეგუება. თუმცა ჰოსეინი უყვართ, მაგრამ მისი სიკვდილით სიმშვიდე უბრუნდებათ. ცხოვრებაში ძველი წესრიგი მყარდება – ჰოსეინის გამორჩეულობა არცერთს აღარ უნამლავს გუნებას. ის ხომ თითქოს თავისი არსებობით აგრძნობინებდა მათ, უიდეალოდ ცხოვრობთო [ფარსიფური 2005: 252]. მხოლოდ პერსონაჟი ქალებისთვის აღმოჩნდა ჰოსეინის სიკვდილი შეუგუებელი დანაკარგი. ჩიჩინი ქვეყნიდან წავიდა, შამსიმ კი მის სამახსოვროდ ეზოში ტირიფის ხე დარგო.

უნდა ითქვას, რომ თვითნება რედაქტორის ჩანაფიქრი, წარმოეჩინა ეს წიგნი მასკულინური პრიმატის მცდელობად და ამით შეეპირისპირებინა რომანთან „ქალები კაცების გარეშე“, წარუმატებელი აღმოჩნდა. რომანში მასკულინური მხოლოდ თხრობის რაკურსი და პერსონაჟი მამაკაცების სიმრავ-

ლეა. სხვაფრივ, ეს არის მკვეთრად ფემინისტური განწყობილების ნიგნი, რომელშიც ქალია საზოგადოების მამოძრავებელი, მისი სულიერი საყრდენი და ზნეობრივი დვრიტა.

რომანის ირანული ვარიანტიდან, ცენზურის მოთხოვნების გათვალისწინებით, მთლიანად ამოღებულია ან, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ზოგიერთ შემთხვევაში რედაქტორის გემოვნების შესაბამისადაა შეცვლილი ჩიჩინისა და აჰმადის სასიყვარულო და სექსუალური ურთიერთობის გამომხატველი ფრაგმენტები. ამ ორი პერსონაჟის დიალოგებს კი საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა რომანის იდეური ჩანაფიქრისთვის. ამდენად, გამომცემელმა დაარღვია არა მარტო მწერლის უფლებები, არამედ რომანის ძირითად ბირთვს მიაცენა განუზომელი ზიანი.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ არათუ არ არსებობს ფარსიფურის ორი რომანი, სათაურებით „კაცები ქალების პირისპირ“ და „ხის სულის უბრალო და მარტივი ამბები“, არამედ არის მხოლოდ ერთი რომანი – „ხის სულის პატარა და უბრალო ამბები“ და მისი ირანული პაროდია – „კაცები ქალების პირისპირ“.

გამოყენებული ლიტერატურა:

ფარსიფური, შ. (2005/1383).

پارسی پور، ش. (1383 / 2005). مردان در برابر زنان، تهران: نشر «شیرین»

ფარსიფური, შ. (2012).

پارسی پور، ش. (2012). ماجراهای ساده و کوچیک روح درخت. استکهلم: نشر «باران».

ბაში, გ. (2006).

باشی، گ. (2006). ملاقات با شهرنوش پارسی پورد در آمریکا. گفتگو. «زنستان»
اولین نشریه اینترنتی زنان.

<http://zanestan.iranianfeministmovementarchive.org/issue18/07,01,03,08,29,15> ალინეჟადი, ს. (2004).

علی نژاد، س. (2004). می خواهم به ایران برگردم. گفتگو با شهرنوش پارسی پور.
شنبه 20 نوامبر.

BBC. PERSIAN https://www.bbc.com/persian/arts/story/2004/11/041120_la-cy-parsipouriv

A contemporary Iranian writer Shahrnush Parsipur is an interesting representative of feminine literature.

She was kept in Iranian prisons several times: first during the Shah's regime, later – after the Islamic Revolution. Last time she was detained for having published a book of feministic nature entitled "Women without Men". After this, the writer had to emigrate. Currently, she lives and works in the USA.

In 2005, her novel "Men versus Women" was published. Based on the title, we can prove that this novel was an attempt of rivalry with "Women without Men".

Interestingly enough, the list of Parsipur's novels compiled by the author herself does not contain a novel with such title. Instead, the list contains a novel "The Simple and small Adventures of the Spirit of Tree". This novel was written by Parsipur before the Revolution, but, due to the revolutionary situation, its publication was delayed. The book was published in Sweden in 1999.

According to the author, the editor-publisher who issued this book in Iran after the author's emigration, changed the title and called the book "Men versus Women". Besides, the publisher extracted and altered many episodes, thus causing irreparable harm to the text. In order to protect her rights, the author published the book abroad, preserving its original, authentic title.

Thus, there appeared two versions of a single novel with two titles: the Iranian version with an intriguing title "Men versus Women" and the author's version under the title "The Simple and small Adventures of the Spirit of Tree".

The original version of the novel – "The Simple and small Adventures of the Spirit of Tree" – is a boldly written novel that combines the Iranian patriarchal spirit and episodes of contemporary life. The feminist current is felt very strongly. The writer also introduces the topic of sexuality and sexual orientation. Naturally, the version published in Iran was censored and this aspect of the novel was hidden and contracted.

In addition to acting deliberately and immorally, based on censorship and his own taste, the Iranian publisher extracted and changed the dialogues and fragments of crucial importance expressing the main idea of the book. In this way, the publisher violated the copyrights and caused irreparable damage to the nucleus of the book.

Thus, we cannot speak of two different novels by Shahnush Parsipur. There is a single novel called "The Simple and small Adventures of the Spirit of Tree" and its Iranian parody "Men versus Women".